

**საქართველოს კანონი
აგროტურიზმის შესახებ**

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს აგროტურიზმის სფეროში საქმიანობის განხორციელების ზოგად საფუძვლებს და მისი ხელშეწყობის ღონისძიებებს, არეგულირებს აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს.
2. აგროტურიზმთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ კანონით, რეგულირდება „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონით „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

- ა) სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, სოფლად ტურიზმის, შესაბამისი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) სოფლის და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების მოკლე ჯაჭვის შექმნით;
- გ) სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საქართველოში ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი პროდუქტის წარმოების ხელშეწყობა;
- დ) სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება, მათი ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა და დასაქმების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა;
- ე) რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ყოფის, კულტურული ლანდშაფტის, ავთენტური ფორმების, უნიკალური პროდუქტებისა და კერძების პოპულარიზაცია.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **აგროტურისტული საქმიანობა** - ფერმერული მეურნეობის ფარგლებში აგროტურისტული მომსახურების გაწევა;
- ბ) **ფერმერული მეურნეობა** - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ან/და სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტების წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის მიზნით;
- გ) **აგროტურისტული მომსახურება** - აგროტურისტული მომსახურების მიმღები პირების მიღება, ფერმერულ საქმიანობაში მათი ჩართვა და მათთვის ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიწოდება;
- დ) **ფერმერული საქმიანობა** - ფერმერული მეურნეობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტის პირველად წარმოებას ან წარმოებასა და შემდგომ გადამამუშავებას ოჯახის წევრების ან/და სხვა პირების შრომის გამოყენებით;
- ე) **აგროტურისტული მეურნეობა** - უძრავი ქონება, რომელზეც წარმართულია აგროტურისტული საქმიანობა;
- ვ) **აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი** - საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსი;
- ზ) **აგროტურისტული მომსახურების მიმღები პირი** - პირი, რომელსაც აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი, მისი აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში უწევს მომსახურებას შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ;
- თ) **ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი** - ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამამუშავებული, ნაწილობრივ გადამამუშავებული ან გადაუმამუშავებელი პროდუქტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ფერმერული საქმიანობის შედეგად არის მიღებული.

მუხლი 4. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭება

1. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში

შემაჯავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

2. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსი ენიჭება დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
 - ა) საკუთრების ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით ფლობს ფერმერულ მეურნეობას;
 - ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რეგისტრირებულია ბიზნესოპერატორად;
 - გ) რეგისტრირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფერმათა/ფერმერთა რეესტრში.
3. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით დაინტერესებულმა პირმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს:
 - ა) განცხადება, განმცხადებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფერმერული მეურნეობის მისამართის და სხვა საკონტაქტო მონაცემების მითითებით;
 - ბ) ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ან/და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების საკუთრების ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით ფლობის თაობაზე;
 - გ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - დ) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა, ფერმერული ან/და აგროტურისტული მეურნეობის არსებობის ფაქტის დადასტურების შესახებ.
4. შემოსავლების სამსახური, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოითხოვს ინფორმაციას სტატუსის მაძიებელი პირის ფერმათა/ფერმერთა რეესტრში რეგისტრაციის არსებობის შესახებ.
5. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

მუხლი 5. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებები

1. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია:

- ა) სტატუსით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში, საკუთრების უფლებით ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით ფლობდეს აგროტურისტულ მეურნეობას;
 - ბ) სტატუსით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში, ეწეოდეს აგროტურისტულ საქმიანობას;
 - გ) სტატუსით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში, რეგისტრირებული იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოებულ ფერმათა/ფერმერთა რეესტრში;
 - დ) საანგარიშო წლის განმავლობაში, აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში მომსახურების მიმდებისათვის შეთავაზებული ან/და მის მიერ მოხმარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 70%-ს შეადგენდეს ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი;
 - ე) სტატუსით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად რეგისტრირებული იყოს ბიზნესოპერატორად.
2. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, სტატუსის მინიჭების დღიდან ყოველ წელიწადში ერთხელ, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს:
- ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი ცნობა;
 - ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
3. შემოსავლების სამსახური შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებიდან წელიწადში ერთხელ გადაამოწმებს ინფორმაციას აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესახებ. ამ პუნქტით განსაზღვრული ვადა აითვლება სტატუსის მინიჭების დღიდან.

მუხლი 6. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის შეწყვეტა

- 1. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახური, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.
- 2. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

3. აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური, დოკუმენტაციის წარდგენის მიზნით, სუბიექტს განუსაზღვრავს დამატებით ვადას ერთი კალენდარული თვის ოდენობით.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება

1. აგროტურისტული მეურნეობის ადგილზე შეფასების საფუძველზე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი გასცემს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაინტერესებული პირის მიერ, საკუთრების უფლებით ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და უძრავ ქონებაზე, წარმართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ან/და აგროტურისტული საქმიანობის შესახებ.
2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება არის სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 8. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტების განვითარების ხელშეწყობას და ინფორმაციულ მხარდაჭერას.

მუხლი 9. აგროტურიზმის სახელმწიფო ხელშეწყობა

1. აგროტურიზმის სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებებია:

- ა) აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში, აგროტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება;
 - ბ) აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში, აგროტურიზმის სტატუსის მქონე სუბიექტების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესაძლებლობისა და მათი შეღავათიანი საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა;
 - გ) აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
 - დ) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, აგროტურისტულ საქმიანობაში ჩართულ პირთა პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
 - ე) შესაბამის მუნიციპალიტეტებში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შეღავათები გავრცელდება იმ სუბიექტებზე, რომელთა აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

მუხლი 10. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

- 1. საქართველოს მთავრობამ არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივნისისა დაამტკიცოს აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის წესი.
- 2. არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივნისისა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს - ადგილობრივი პროდუქტის იდენტიფიცირების წესი.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

- 1. 2022 წლის 1 ივნისიდან აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, საანგარიშო წლის განმავლობაში აგროტურისტული საქმიანობის ფარგლებში მის მიერ მომსახურების მიმღებისათვის შეთავაზებული ან/და მოხმარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 50%-ს შეადგენდეს ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

2. ეს კანონი, გარდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-10 მუხლისა, ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.
3. ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.
4. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივნისიდან.
5. ამ კანონის მე-10 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი